განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

საჯარო მმართველობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

19.06.2020

დასკვნის წარდგენის თარიღი

22.07.2020

თბილისი

2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს სულხან საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204426834
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საჯარო მმართველობის მაგისტრი 0413
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დოლიძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნიკა გიგაური, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია სამართლის ფაკულტეტის ფარგლებში და წარმოდგენილია პირველადი აკრედიტაციისათვის.

პროგრამა მოიცავს 120 ECTS-ს, ხორციელდება 4 სემესტრის განმავლობაში. ერთი სემესტრი მოიცავს 20 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს; საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 19 ივნისს, 10:00-დან, სასწავლო უნივერსიტეტის შენობაში. დღის წესრიგის მიხედვით ჩატარდა შეხვედრები/გასაუბრებები პროგრამაში ჩართულ მხარეებთან, კერძოდ: უსდ ადმინისტრაცია და რექტორი, თვითშეფასების ჯგუფი,პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, დამსაქმებლები და სტაჟირების განახორციელებლები; რამდენადაც პროგრამა ახალია და ჯერ არ ხორციელდება, ჩატარდა შეხვედრა მომიჯნავე პროგრამის (სამართლის სამაგისტრო პროგრამის) სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ აღნიშნული პროგრამის სამაგისტრო ნაშრომებს და გასაუბრებოდნენ სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებს. ადგილზე განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

COVID-19 პანდემიით შექმნილი განსაკუთრებული ვითარების გამო, ინტერვიუების ნაწილი (აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან) განხორციელდა ონლაინ, zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

სამუშაო ვიზიტი მიმდინარეობდა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა, ამომწურავად ემსჯელა და ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით პროგრამის სტანდარტები და კომპონენტები შემდეგნაირად არის შეფასებული:

	სტანდარტი	**შესაბამისობა**
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მე-2 სტანდარტის - სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ქვესტანდარტები 2.2., 2.3., 2.4. და 2.6. მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**
  - პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, ეკონომიკური ბლოკის გასაძლიერებლად სავალდებულო სტატუსით ეკონომიკური კომპონენტის კურსების დამატება, რომლებიც, შესაბამისად, განისაზღვრება, როგორც წინაპირობა ისეთი კურსებისათვის, როგორიცაა საჯარო ფინანსები.
  - კურსისათვის „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, სავალდებლო სტატუსის მინიჭება
  - კურსების „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის განსაზღვრა
  - კონკრეტული კურსების ფარგლებში ძირითადი ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი წყაროების დამატება. კერძოდ:
    - კურსში „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ ძირითადი სახელმძღვანელოს (დენჰარდტის „საჯარო მართვა: მოქმედების კურსი“) შესავსებად საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტის ლიტერატურის დამატება: მაგალითად, Denhardt, Denhardt, Aristigueta, Rawlings, Managing Human Behaviour in Pyblic and Nonprofit Organizations, 2018; Morgan, Images of Organization, 2007; Powell, DiMaggio, The New Institutionalism in Organizational Analysis, 2012 და სხვა
  - სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების ერთი სტილის გამოყენება: APA, Chicago ან სხვა (მაგალითისთვის, კურსები: „შედარებითი საჯარო მმართველობა“, „სტრატეგიული სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“).

- პრაქტიკის ალტერნატიული კურსის - მაგალითად, სოციალური პროექტის ან სხვა აქტივობის შეთავაზება.
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევის უზრუვნელყოფა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სილაბუსსა და სწავლის შედეგების რუკაში. კერძოდ A, B და D.
- სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად, აკადემიური წერის კურსის გარდა, კვლევის მეთოდების კურსის განსაზღვრა
- სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთება და ფინალური თეორიული გამოცდის ჩანაცვლება დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომით, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისათვის სილაბუსში უკვე არსებული სიტუაციური ამოცანების, წერითი დავალებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის ვებ-გვერდზე განთავსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება.
  - თვითშეფასების ანგარიშში არსებული მცირე ხარვეზების გასწორება მომავალი სააკრედიტაციო პერიოდისათვის, როგორიცაა ფაკულტეტის დასახელება და სხვ.
  - „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კურსისათვის წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის გარდა, „საქართველოს სახელმწიფო მოწყობის“ კურსის განსაზღვრა.
  - არჩევით კურსებში სექტორული პოლიტიკის სფეროებიდან სხვა კურსების დამატება, გარდა შეთავაზებული გარემოს დაცვისა და ეკონომიკური პოლიტიკის კურსებისა (მაგალითად, ჯანდაცვის პოლიტიკა, განათლების პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და სხვ.).
  - კურსის „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“, არჩევით ბლოკში გადატანა
  - პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტის განვითარების დაწყება
  - კურსებში „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ (სავალდებულო) და „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში“ (არჩევითი) ძირითად ლიტერატურაში ინგლისურენოვანი წყაროების დამატება
  - სავალდებულო კურსში „მდგრადი განვითარება: მიზნები და გამოწვევები“, გაეროს მიზნების, ამოცანებისა და სტრუქტურის შესახებ თემატიკის დამატება
  - პრაქტიკული კლინიკის კრედიტების რაოდენობის შემცირება (სულ მცირე 10 ESTC-მდე)
  - კონკრეტულ კურსებში, მაგალითად, საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, შეფასების ისეთი კომპონენტის დამატება, რომელიც საჭიროებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, მაგალითად რეფერატის ან ესსეს მომზადება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამაგისტრო დონეზე სამეცნიერო უნარების განვითარებას.

- საერთო შეფასების თანაბრზომიერების დასაცავად, სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობის 20 ან 25 ECTS-მდე შემცირება
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მოცემულ შეფასების სისტემის განმარტებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება: „FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა 5 სამუშაო დღეში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება“ და ნაშრომის შეფასების სისტემის განმარტება ისე, როგორც ეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტშია.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან შესაბამისობით სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტის აღჭურვას მულტიდისციპლინური, ღრმა და სისტემური ცოდნით საჯარო მმართველობის, კონსტიტუციური საფუძვლების, საჯარო მმართველობის განხორციელების სამართლებრივი ინსტრუმენტების, საჯარო ფინანსების მართვის, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის, საჯარო მმართველობის ძირითადი ღირებულებებისა და პრინციპების, ეთიკური სტანდარტების შესახებ; პროგრამა ასევე მიზნად ისახავს, რომ სტუდენტს შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საქართველოს სახელმწიფო მოწყობის, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციონირების, საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის ეროვნული და რეგიონული მნიშვნელობის, ასევე ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირების ძირითადი პრინციპების შესახებ, ჩამოუყალიბოს ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან მუშაობის პრაქტიკული უნარ- ჩვევები, რითაც ისინი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში; პროგრამის მიზნების დაახლოება საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმასთან ცალსახად მიუთითებს, პროგრამის, როგორც მნიშვნელობაზე ასევე იმ როლზე, რასაც მისი კურსდამთავრებულები შეიტანენ საჯარო მმართველობის სისტემის ეფექტურ მუშაობასა და მის მდგრად განვითარებში. სტუდენტებისათვის პროგრამაზე სწავლის პერიოდში საჯარო მმართველობის პრობლემებზე ორიენტირებული სიღრმისეული ანალიზის, აკადემიური წერისა და სოციალური კვლევის დაგეგმვა და განხორციელების უნარების გამომუშავება არსებითად შეუწყობს ხელს, როგორც თავად დარგის განვითარებას, ასევე საზოგადოებაში საჯარო მოხელისადმი ნდობის ამაღლებას და საჯარო სამსახურის მიმართ ახლებური ხედვის ჩამოყალიბებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამა
- სასწავლო უნივერსიტეტის მისია
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო პროგრამის შესაბამისად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები თავსებადია და შეესაბამისობაშია, როგორც პროგრამის მიზნებთან ასევე დარგობრივ კომპეტენციებთან.

პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად არის ასევე ჩამოყალიბებული თითოეული საგნის სილაბუსით გაწერილი სწავლის შედეგები. პროგრამა მკაფიოდ აყალიბებს სწავლის შედეგებისა და პროგრამის მიზნების თავსებადობის რუკას, რომელიც კონკრეტულად მიუთითებს პროგრმის შესაბამისი მიზნის თავსებადობას შესაბამის სწავლის შედეგთან, ხოლო პროგრამაზე თანდართული თვითშეფასების ანგარიში და სასწავლო კურსების სილაბუსები აკონკრეტებენ თითოეული საგნის სწავლის შედეგების მიმართებას პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შემუშავების პროცესში, პროგრამით გათვალისწინებულ თეორიულ და პრაქტიკულ ელემენტებს შორის ბალანსის დასაცავად და პროგრამის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, გამოყენებულ იქნა უსდ-ს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური პერსონალისა და პოტენციური დამსაქმებლების მხრიდან დაფიქსირებული უკუკავშირის შედეგები. შესაბამისად პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები სრულად შეესაბამება დასაქმების სფეროში არსებულ მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები აერთიანებს ყველა იმ უნარს, რომელსაც ავითარებს პროგრამის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსი. აღნიშნული დასტურდება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით, რომელიც ასევე აკონკრეტებს სწავლის შედეგების შეფასების შესაბამის მეთოდებს.

პროგრამის კურსდამთავრებულებს აქვთ შესაძლებლობა სწავლა განაგრძონ სწავლების შემდეგ საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სასწავლო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და განსაზღვრულია სასწავლო პროცესის დებულებაში. პროგრამაზე მიღება ხორციელდება როგორც ერთიანი სამაგისტრო, ასევე შიდასაუნივერსიტეტო გამოცდების საფუძველზე. პროგრამაზე მიღების წინაპირობად განსაზღვრულია ინგლისური ენის ფლობა B2 დონეზე. ინგლისური ენს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის მინიმალურ ზღვარად დადგენილია 50%+1. ინგლისურის ცოდნის შესაბამისი მოქმედი სერტიფიკატის წარმდგენი პირი თავისუფლდება გამოცდიდან. პროგრამაზე შემუშავებულია უცხოენოვანი სტუდენტების მიღების რეგულაციებიც, ისევე, როგორც მობილობის წესით პროგრამაზე ჩარიცხვის რეგულაციები. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე სრულად არის განთავსებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვის, წარსადგენი დოკუმენტების, ღია კარის დღეებისა და პროგრამების შესახებ. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შესახებ ინფორმაცია სასწავლო უნივერსიტეტის ვებგვერდზე დაუყოვნებლივ განთავსდება აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში, ხოლო შიდასაუნივერსიტეტო გასაუბრების და გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები - გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (http://www.sabauni.edu.ge). თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ პროგრამის შესახებ ინფორმაცია უკვე ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისათვის. სასურველი იქნებოდა, თვითშეფასების ანგარიშში ინფორმაცია დაზუსტებით ყოფილიყო მოცემული. სხვა მცირე ხარვეზებიც შეინიშნება თვითშეფასების ანგარიშში, მაგალითად, სამართლის ფაკულტეტის ნაცვლად ჰუმანიტარული ფაკულტეტის მითითება და სხვა. სასურველია, თვითშეფასების ჯგუფმა შემდეგი აკრედიტაციის პროცესისათვის გაითვალისწინოს ამგვარი ხარვეზების გასწორება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და მისი დამტკიცების წესი
- სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის ვებ-გვერდზე განთავსების შესახებ ინფორმაციის დაზუსტება.
- თვითშეფასების ანგარიშში არსებული მცირე ხარვეზების გასწორება მომავალი სააკრედიტაციო პერიოდისათვის, როგორიცაა ფაკულტეტის დასახელება და სხვ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამების დაგეგმვის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიისა და დამტკიცების წესის შესაბამისად. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თვითშეფასების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედის პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და სტუდენტები. ასევე, პროგრამის საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში ჩართული იყო ხარისხის მართვის სამსახური; შემუშავების პროცესში განხორციელდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან, დამსაქმებლებთან, რათა გათვალისწინებულ ყოფილიყო შრომის ბაზრის მოთხვნები.

საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, პროგრამა მოიცავს 120 ECTS-ს, წელიწადში 60 ან მეტი (არაუმეტეს 75) ECTS-ის მიღების შესაძლებლობით; პროგრამაში განსაზღვრულია სავალდებულო და არჩევითი კურსები და წინაპირობები კონკრეტული სასწავლო კურსებისათვის; შესაბამისად განისაზღვრა კურსების სემესტრული განაწილებაც და სასწავლო მასალიდან და დატვირთვიდან გამომდიარე კურსებისთვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა.

პროგრამის კურსების სილაბუსების შემუშავება ხორციელდებოდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით, სწავლის შედეგების გათვალისწინებით; გარდა ამისა, შესადარებლად გამოყენებულ იქნა ქართული უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამები.

პროგრამა შედგება სასწავლო, პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებულია სავალდებულო და არჩევითი კურსები (48 და 30 ECTS შესაბამისად, სულ 78 ECTS). 12 ECTS მინიჭებული აქვს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც წარმოადგენს პრაქტიკულ კლინიკას და სავალდებლო კურსის სტატუსი აქვს. აღნიშნული კურსი ტარდება სწავლების მესამე სემესტრში და მისი მიზანია მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება.

პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს შეადგენს სამაგისტრო ნაშრომი, რომელსაც 30 ECTS აქვს მინიჭებული. სამაგისტრო ნაშრომი ასევე უზრუნველყოფს სწავლის ყველა შედეგის მიღწევას.

რაც შეეხება სასწავლო კომპონენტს, პროგრამის ძირითად სავალდებულო კურსებში გათვალისწინებულია 11 საგანი, საიდანაც უმეტესობას არ აქვს განსაზღვრული წინაპირობა, მხოლოდ „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კურსისთვის არის განსაზღვრული წინაპირობად საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის კურსი. თუმცა, აღნიშნული კურსის წინაპირობად, ექსპერტთა მოსაზრებით, უნდა წარმოადგენდეს ასევე „საქართველოს სახელმწიფო მოწყობის“ კურსი. ასევე, მხოლოდ რამდენიმე არჩევითი კურსის შემთხვევაში არის წინაპირობა განსაზღვრული. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო კურსებში არ ისწავლება არც ერთი ეკონომიკური საგანი. ეკონომიკური პოლიტიკის კურსი შეთავაზებულია არჩევითი სტატუსით. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო მმართველობა ინტერდისციპლინური დარგია და სამი სფეროს - სამართალი, მართვა და ეკონომიკა - ასპექტებს თანაბრად უნდა მოიცავდეს, ასევე, რომ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაზე სხვადასხვა განათლების მქონე პირებს შეუძლიათ ჩაბარება, ექსპერტთა აზრით, მნიშვნელოვანია, პროგრამას სავალდებულო სტატუსით დაემატოს ეკონომიკური კომპონენტი, რომელიც, შესაბამისად, განისაზღვრება, როგორც წინაპირობა ისეთი კურსებისათვის, როგორიცაა საჯარო ფინანსები.

გარდა ამისა, არჩევითი კურსის სტატუსით შეთავაზებულია „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, რაც, შინაარსობრივად საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და პოლიტიკის ანალიზს ფარავს. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს საჯარო სექტორში საჯარო მმართველობის რეფორმის ფოკუსირება სწორედ საჯარო პოლიტიკის შემუშავებაზე ხდება. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ პოლიტიკის შემუშავებისა და ანალიზის უნარი ერთ-ერთი მოთხოვნადი იქნება დასაქმების დროს. ამდენად, ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული კურსი უნდა ისწავლებოდეს სავალდებულო სტატუსით. სასურველი იქნებოდა, ასევე, სექტორული პოლიტიკის სფეროებიდან კურსების დამატება არჩევითი სტატუსით (მაგალითად, ჯანდაცვის პოლიტიკა, განათლების პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და სხვ.). არსებული პროგრამით შეთავაზებულია მხოლოდ გარემოს დაცვის პოლიტიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კურსი.

სავალდებლო კურსებში შეთავაზებულია შემდეგი ორი კურსი - „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“. ექსპერტებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, კურსი „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“, გადატანილ იქნას არჩევით ბლოკში, მით უმეტეს, რომ თემების დიდი ნაწილი, რაც განიხილება კურსის ფარგლებში (საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები, ადმინისტრაციული წარმოების პრინციპები, ნდობა, გამჭვირვალობა, თანაზომიერება, კანონის უზენაესობა და სხვა), დაფარულია საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის, ადმინისტრაციული წარმოებისა და სხვა კურსებში. კურსი ასევე ძირითადად აგებულია იმავე ლიტერატურის გამოყენებით, რაც საჯარო მმართველობის სხვა კურსებში. აღსანიშნავია ისიც, რომ ორივე კურსი („ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ და „ საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“) ერთნაირ დატვირთვას მოიცავს (3 ECTS) და ერთსა და იმავე სწავლის შედეგებზე გადის.

ექსპერთა აზრით, მიზანშეწონილია, ასევე, აღნიშნული ორივე კურსის წინაპირობად განისაზღვროს „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის გავლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
- სილაბუსები
- სამართლის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები;
- ვებ-გვერდი;
- პრაქტიკული კლინიკის სილაბუსი;
- სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, ეკონომიკური ბლოკის გასაძლიერებლად სავალდებულო სტატუსით ეკონომიკური კომპონენტის კურსების დამატება, რომლებიც, შესაბამისად, განისაზღვრება, როგორც წინაპირობა ისეთი კურსებისათვის, როგორიცაა საჯარო ფინანსები.
- კურსისათვის „სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“, სავალდებლო სტატუსის მინიჭება
- კურსების „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“ და „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის განსაზღვრა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- „ადგილობრივი თვითმმართველობის“ კურსისათვის წინაპირობად „საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის“ კურსის გარდა, „საქართველოს სახელმწიფო მოწყობის“ კურსის განსაზღვრა.
- არჩევით კურსებში სექტორული პოლიტიკის სფეროებიდან სხვა კურსების დამატება, გარდა შეთავაზებული გარემოს დაცვისა და ეკონომიკური პოლიტიკის კურსებისა (მაგალითად, ჯანდაცვის პოლიტიკა, განათლების პოლიტიკა, კულტურის პოლიტიკა, სოციალური პოლიტიკა და სხვ.).

- კურსის „საჯარო მმართველობის ღირებულებები და პრინციპები“, არჩევით ბლოკში გადატანა

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სასწავლო კურსებისა და სწავლის შედეგების რუკის მიხედვით, პროგრამის ყველა ძირითადი სპეციალობის კურსის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული კურსის სილაბუსში განსაზღვრულია შესაბამისი შედეგი და ასევე, შუალედური და ფინალური შეფასების კომპონენტებით ხდება აღნიშნული შედეგების მიღწევის შეფასება.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო საფეხრის მოთხოვნების შესაბამისად, პრორგამა არ მოიცავს შესავალ (I) კურსებს; ძირითადი კურსები არის განმავითარებელი (D); ასევე, პრაქტიკული კლინიკა განსაზღვრულია, როგორც P სტატუსის მქონე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომი - M, ანუ დაოსტატების კურსი.

რამდენადაც პროგრამა ითვალისწინებს უცხოენოვანი სტუდენტები მიღებას სამომავლოდ, ხოლო არსებული სტუდენტებისათვის ინგლისური ენის მოთხოვნილი დონე B2-ს შეესაბამება, ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილი იქნება, პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტის განვითარების დაწყება. ასევე, მართებული იქნება კონკრეტული კურსების ფარგლებში ძირითადი ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი წყაროების დამატება. კერძოდ:

კურსი „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ თემატურად და შინაარსობრივად შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის სირთულეს და მოცულობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა არ ფარავს კურსის განმავლობაში განსახილველ თემებს. მაგალითად, დენჰარდტის სახელმძღვანელო „საჯარო მართვა: მოქმედების კურსი“ მოიცავს საჯარო ადმინისტრირების საფუძვლებს, შესაბამისად, მისი გამოყენება უფრო მართებულია საბაკალავრო საფეხურზე. გარდა ამისა, სხვა დასახელებული ლიტერატურაც ძირითადად მოიცავს საჯარო ადმინისტრირების საკითხებს, მაგრამ ნაკლებად ფარავს საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტის თემებს. იმის გათვალისწინებით, რომ მაგისტრანტების ინგლისური ენის დონე B2-ს შეესაბამება, ექსპერტების მოსაზრებით, აღნიშნული ხარვეზის გამოსწორება შესაძლებელია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოს დამატებით ორგანიზაციული მართვის სფეროდან, მაგალითად, Denhardt, Denhardt, Aristigueta, Rawlings, Managing Human Behaviour in Pyblic and Nonprofit Organizations, 2018; Morgan, Images of Organization, 2007; Powell, DiMaggio, The New Institutionalism in Organizational Analysis, 2012 და სხვა. ასევე, მართებული იქნებოდა, კურსებში „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ (სავალდებულო) და „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში“ (არჩევითი) ძირითად ლიტერატურაში ინგლისურენოვანი წყაროების დამატება.

სასურველი იქნება, სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების ერთი სტილის გამოყენება: APA, Chicago ან სხვა (მაგალითისთვის, კურსები: „შედარებითი საჯარო მმართველობა“, „სტრატეგიული სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“).

კურსი „მდგრადი განვითარება: მიზნები და გამოწვევები“, რომელსაც სავალდებულო სტატუსი აქვს, მოიცავს მდგრადი განვითარების მიზნებისა და გამოწვევების შესახებ მსჯელობას, თუმცა, მასში არაფერია ნათქვამი გაეროზე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციაზე, მისი მიზნების, ამოცანებისა და სტრუქტურის შესახებ. ექსპერტების აზრით, ამ თემის დამატება აუცილებელია, რამდენადაც მდგრადი განვითარების დღის წესრიგი 2030 სწორედ გაეროს ფარგლებშია მიღებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- კურსების სილაბუსები
- განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- კონკრეტული კურსების ფარგლებში ძირითადი ლიტერატურის განახლება და ინგლისურენოვანი წყაროების დამატება. კერძოდ:
    - კურსში „საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა“ ძირითადი სახელმძღვანელოს (დენჰარდტის „საჯარო მართვა: მოქმედების კურსი“) შესავსებად საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტის ლიტერატურის დამატება: მაგალითად, Denhardt, Denhardt, Aristigueta, Rawlings, Managing Human Behaviour in Pyblic and Nonprofit Organizations, 2018; Morgan, Images of Organization, 2007; Powell, DiMaggio, The New Institutionalism in Organizational Analysis, 2012 და სხვა
- სილაბუსებში ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითების ერთი სტილის გამოყენება: APA, Chicago ან სხვა (მაგალითისთვის, კურსები: „შედარებითი საჯარო მმართველობა“, „სტრატეგიული სტრატეგიული დაგეგმარება და პოლიტიკის დოკუმენტების შექმნა“).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტის განვითარების დაწყება
- კურსებში „ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში“ (სავალდებულო) და „ადამიანური რესურსების მართვა საჯარო სამსახურში“ (არჩევითი) ძირითად ლიტერატურაში ინგლისურენოვანი წყაროების დამატება
- სავალდებულო კურსში „მდგრადი განვითარება: მიზნები და გამოწვევები“, გაეროს მიზნების, ამოცანებისა და სტრუქტურის შესახებ თემატიკის დამატება

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც აღინიშნა (2.2.; 2.3.) პროგრამის პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისათვის გათვალისწინებულია „პრაქტიკული კლინიკის“ კურსი და სამაგისტრო ნაშრომის შესრულება. გარდა ამისა, პრაქტიკული კომპონენტი შედის რამდენიმე ძირითადი და არჩევითი კურსის სილაბუსში. სწავლის შედეგებიდან პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება G (პროფესიული ცოდნის გამოყენებით საჯარო მმართველობის სფეროში წვლილის შეტანა) და F (მიღებული ცოდნის ყოველდღიურ პროცესებში გამოყენება) სწავლის შედეგები; ხოლო კვლევით უნარებს E (გადაწყვეტილებების მიღება, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ურთიერთობა, არგუმენტირებული მსჯელობა, დამოუკიდებლად კვლევის განხორციელება) სწავლის შედეგი.. აღნიშნული შედეგებიდან F-ის მიღწევას თითქმის ყველა ძირითადი კურსი უზრუნველყოფს. G შედეგის მიღწევა უზრუნველყოფილია საჯარო მმართველობისა და სამოხელეო სამართლის კურსის, პრაქტიკული კლინიკისა და სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული კლინიკა, რომელიც სტაჟირების ან პრაქტიკის გავლას გულისხმობს სხვადასხვა საჯარო დაწესებულებებში, სავალდებულო კომპონენტს შეადგენს და საკმაოდ მაღალი კრედიტი (12 ECTS) აქვს მინიჭებული. გამომდინარე სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული გამოცდილებიდან, სავალდებულო პრაქტიკის გავლა შესაძლოა პრობლემური გახდეს მაგისტრანტებისათვის.

სწავლების ამ საფეხურზე სტუდენტთა დიდი ნაწილი დასაქმებულია, რის გამოც პრაქტიკას და სტაჟირებას ან ფორმალური სახე ეძელვა, ან სტუდენტი იძულებული ხდება, დატოვოს სამსახური. აღსანიშნავია, რომ ამგვარი ვითარების შესახებ ისაბრეს კურსდამთავრებულებმა ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუს დროს. გარდა ამისა, პრაქტიკის საჯარო უწყებაში ჩატარება დიდწილადაა დამოკიდებული საჯარო უწყების შესაძლებლობაზე, კონკრეტულ პერიოდში მიიღოს სტაჟიორთა გარკვეული რაოდენობა. შესაბამისად, ამ კომპონენტისათვის სავალდებულო სტატუსის და მით უფრო, მაღალი კრედიტის მინიჭებით პასუხისმგებლობა პრაქტიკის განხორციელებაზე მთლიანად ეკისრება სტუდენტს. ექსპერტთა მოსაზრებით, მიზანშეწონილია, შემცირდეს პრაქტიკული კლინიკის კრედიტების რაოდენობა (სულ მცირე 10 ESTC-მდე) და შეთავაზებული იყოს პრაქტიკის ალტერნატიული კურსი - მაგალითად, სოციალური პროექტის ან სხვა აქტივობის სახით.

რაც შეეხევა სამეცნიერო კვლევით უნარებს, ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ისეთი კურსები, როგორებიცაა საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, შესაძლებელია, შეიცავდეს ისეთ შეფასების კომპონენტს, რომელიც საჭიროებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, მაგალითად რეფერატის ან ესსეს მომზადებას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამაგისტრო დონეზე სამეცნიერო უნარების განვითარებას.

სამეცნიერო-კვლევითი უნარების გამომუშავებისათვის ძირითად ინსტრუმენტს სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს, რომელსაც 30 ECTS აქვს მინიჭებული. გამომდინარე სამაგისტრო ნაშრომის მოცულობიდან და მნიშვნელობიდან, ექსპერტებს მართებულად მიაჩნიათ, ნაშრომის შესრულებისას უზრუნველყოფილი იყოს უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სილაბუსსა და სწავლის შედეგების რუკაში. წარმოდგენილი პროგრამით, სამაგისტრო ნაშრომი გადის ორ შედეგზე, E - უნარების კომპონენტი, (ადმინისტრაციული აქტების შედგენა, საჯარო მმართველობის სფეროში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება, აკადმიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან სფეროს საკითხებზე მსჯელობა, დასაბუთება და არგუმენტირებული დასკვნა, წერილობითი სახით დამოუკიდებლად კვლევის შესრულება) და G - პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპონენტი (პროფესიული ცოდნის გამოყენებით საჯარო მმართველობის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების ხელშეწყობა). თუმცა, რადგან სამაგისტრო ნაშრომი არა მხოლოდ ახალი ინფორმაციის შექმნის, არამედ მიღებული ცოდნის გაანალიზებისა და მონაცემების დამოუკიდებლად შეკრების მიზანსაც ემსახურება, ექსპერტების აზრით, მიზანშეწონილია, დაემატოს სწავლის სხვა შედეგებიც, კერძოდ A (საჯარო მმართველობის ფუნქციების გააზრება, სამართლებრივი საფუძვლების ცოდნა, განხორციელების ინსტრუმენტების ცოდნა, საჯარო ორგანიზაციების მართვისა და სტრუქტურების ანალიზი, პრობლემების კრიტიკულად გააზრების უნარი), B (სისტემური ინფორმაციის ფლობა საქართველოს სახელმწიფო მოწყობისა და ქართული საჯარო სექტორის შესახებ) და D (ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის პროცესის და შედეგების ანალიზი).

სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრულია აკადემიური წერის კურსი. აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ასევე იკითხება კვლევის მეთოდების კურსი, სავალდებულო სტატუსით. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული კურსიც უნდა იყოს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად განსაზღვრული. ასევე, ექსპერტების აზრით, საერთო შეფასების თანაბრზომიერების დასაცავად, მიზანშეწონილია, სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობა შემცირდეს 20 ან 25 ECTS-მდე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით • თვითშეფასების ანგარიში • სამაგისტრო პროგრამა • პრაქტიკული კლინიკის სილაბუსი • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები • პრაქტიკის ალტერნატიული კურსის - მაგალითად, სოციალური პროექტის ან სხვა აქტივობის შეთავაზება. • სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას უფრო მეტი სწავლის შედეგის მიღწევის უზრუვნელყოფა, ვიდრე ეს განსაზღვრულია სილაბუსსა და სწავლის შედეგების რუკაში. კერძოდ A, B და D. • სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად, აკადემიური წერის კურსის გარდა, კვლევის მეთოდების კურსის განსაზღვრა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • პრაქტიკული კლინიკის კრედიტების რაოდენობის შემცირება (სულ მცირე 10 ESTC-მდე) • კონკრეტულ კურსებში, მაგალითად, საჯარო მმართველობა და სამოხელეო სამართალი, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეთიკა და კეთილსინდისიერება საჯარო სამსახურში, საჯარო დაწესებულებების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, შეფასების ისეთი კომპონენტის დამატება, რომელიც საჭიროებს კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებას, მაგალითად რეფერატის ან ესსეს მომზადება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს სამაგისტრო დონეზე სამეცნიერო უნარების განვითარებას.

• საერთო შეფასების თანაბრზომიერების დასაცავად, სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობის 20 ან 25 ECTS-მდე შემცირება
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა ამომწურავ ინფორმაციას სწავლება-სწავლის მეთოდებზე. აღნიშნული დოკუმენტების დეტალური გაცნობისა და ონლაინ ვიზიტის განხორციელების პროცესში ჩატარებული ინტერვიუები ცხადყოფს, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- თვითშეფასების ანგარიში
- სამაგისტრო პროგრამის აღწერა
- კურსების სილაბუსები
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დადგინდა რომ სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო კურსების სილაბუსების მიხედვით, სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია რამდენიმე-ეტაპიანი შეფასება, კერძოდ კი შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას - 100 ქულას, აქედან დასკვნითი შეფასება მოიცავს 30 ქულას, ხოლო შუალედური შეფასება - 70 ქულას, რომელსაც შუალედური შეფასების სხვადასხვა კომპონენტზე სპეციფიკის შესაბამისად ანაწილებს სასწავლო კომპონენტის განმახორციელებელი პირი. ამასთან, შუალედური შეფასებები მოიცავს ისეთ მრავალჯერად შეფასების კომპონენტებს როგორიცაა წერითი გამოკითხვა, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვა და ა.შ. შესაბამისად, შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით, რაც დეტალურადაა მოცემული სასწავლო კურსების სილაბუსებში. ამასთან შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნით გამოცდაზე დასაშვებად სტუდენტის შუალედური შეფასებისა და შუალედური გამოცდის ქულათა ჯამი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 26 ქულას. დასკვნითი გამოცდა სავალდებულო ხასიათისაა და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს 15 ქულას. ამასთან, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის, რაც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს პროცესში დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილ სასწავლო კურსების უმრავლესობაში გამოყენებულია შუალედური და დასკვნითი გამოცდების შეფასების უნიფიცირებული მიდგომა, კერძოდ სასწავლო კურსების უმრავლესობაში შუალედური და ფინალური გამოცდები 30-30 ქულით ფასდება. მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინა, რომ მიუხედავად სასწავლო უნივერსიტეტში არსებული გამოცდების შეფასების უნიფიცირებული მიდგომისა, სასწავლო პერსონალს აქვს აკადემიური თავისუფლება თავად განსაზღვრონ აღნიშნულ გამოცდებში შეფასების შესაბამისი კრიტერიუმები, ასევე ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე ლექტორს შეუძლია შეცვალოს გამოცდების შეფასების პროცენტული წილი. ამრიგად, თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები მეტწილად ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს, თუმცა აღსანიშნავია სასწავლო კურსი: „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის განმტკიცებაზე, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტის მიერ პრაქტიკული დავალების მომზადება - ჯგუფური

პრეზენტაცია, მხოლოდ 10 ქულით ფასდება, ხოლო 90 ქულა თეორიული ცოდნის შეფასებაზე ნაწილდება. შესაბამისად, სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდირებულად მიიჩნევს აღნიშნულ სასწავლო კურსში სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთდეს და ფინალური თეორიული გამოცდის ნაცვლად უმჯობესია სტუდენტების მხრიდან კვლევითი ნაშრომის მომზადება, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისთვის შესაძლებელია სილაბუსში უკვე არსებული სიტუაციური ამოცანების, წერითი დავალებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას, რაც დასტურდება სასწავლო პერსონალისთვის ჩატარებული ტრენინგებით ისეთ თემაზე, როგორიცაა სილბუსის წერის ხელოვნება, სწავლების თანამედროვე მეთოდები და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. ამასთან, დამატებითი გამოცდა შეიძლება დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5

კალენდარულ დღეში).

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

სამაგისტრო ნაშრომების შეფასება ხდება სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესის მიხედვით კომისიური წესით, სამაგისტრო ნაშრომის დასრულების შემდეგ მოწმდება კვლევის კეთილსინდისიერება პლაგიატის პროგრამის საშუალებით, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის დაცვა ხორციელდება საჯაროდ

კომისიის სხდომაზე და ნაშრომი ფასდება ერთჯერადად ჯამში 100 ქულით აქედან: სამაგისტრო ნაშრომი 60 ქულით, სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია - 20 ქულით, ხოლო დისკუსიაში მონაწილეობა - 20 ქულით. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი მაქსიმალური შეფასებიდან მხოლოდ 41-50 ქულას დააგროვებს მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში. ხოლო თუ მაგისტრანტი დააგროვებს 40 ქულას და ნაკლებს მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას. ამასთან სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების მარეგულირებელ დოკუმენტში დეტალურადაა მოცემული შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. ვიზიტის დროს დადგინდა, რომ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები იღებენ უკუკავშირს, სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებისა შედეგების გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების შემდეგ სასწავლო კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია შედეგების განხილვის ეტაპი, სადაც ლექტორი აცნობს სტუდენტებს შედეგებს და უთითებს ძლიერ და სუსტ მხარეებზე, ასევე უხსნის დაშვებული შეცდომების გამოსწორების გზებს, მსგავსი უკუკავშირი კი ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის არსებობას. ამასთან, უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება, რაც დასტურდება სასწავლო უნივერსიტეტის დებულებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ახორციელებს სტუდენტთა შეფასების მონიტორინგს და შედეგების მიხედვით საჭირო ღონისძიებების გატარებას, მათ შორის სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი გამოიყენება საუნივერსიტეტო სტიპენდიების გაცემისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის დებულება (2019 წლის 22 ივლისის რედაქცია); • სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი (ბრძანება №70-19; 07 ივნისი 2019 წერლი); • „საჯარო მმართველობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • ინტერვიუს შედეგები; • თვითშეფასების დოკუმენტი; • სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
რეკომენდაციები: • სწავლის შედეგების უკეთ მიღწევისთვის სასწავლო კურსში „კვლევის მეთოდები საჯარო მმართველობაში“ სტუდენტთა დამოუკიდებელ კვლევითი უნარების განვითარებაზე მეტი აქცენტი გაკეთება და ფინალური თეორიული გამოცდის ჩანაცვლება დამოუკიდებელი კვლევითი ნაშრომით, ხოლო სტუდენტთა თეორიული ცოდნის შეფასებისათვის სილაბუსში უკვე არსებული სიტუაციური ამოცანების, წერითი დავალებისა და შუალედური გამოცდის გამოყენება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მოცემულ შეფასების სისტემის განმარტებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება: „FX შეფასების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა 5 სამუშაო დღეში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება“ და ნაშრომის შეფასების სისტემის განმარტება ისე, როგორც ეს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტშია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შესაბამისი დოკუმენტების გაცნობის, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პერსონალთან და მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას. სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევებზე, სწავლების გაუმჯობესებაზე და დასაქმებაზე კონსულტაციას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებამ ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სტუდენტებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდებას. ამასთან, აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ პერსონალის ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სტუდენტთა კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც საჯაროდ განთავსებულია სწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებული მხარისთვის ხელმისაწვდომია. ამასთან, გასაუბრების პროცესში მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ლექტორებთან კომუნიკაციის პრობლემა არ შექმნიათ, მეტიც როგორც სასწავლო უნივერსიტეტში, ისე ელექტრონულ რეჟიმშიც აკადემიური პერსონალი სტუდენტებს უწევს სათანადო კონსულტაციასა და დახმარებას. სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტურ საქმეთა სამსახური, რომელშიც დასაქმებული ადმინისტრაციული პერსონალი, კერძოდ სტუდენტთა კარიერული ზრდის და დასაქმების ხელშეწყობის მენეჯერი და სტუდენტურ ღონისძიებათა მენეჯერი, უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას, რომლის ფარგლებშიც ეწყობა კარიერული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგ-კურსები და შეხვედრები პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, სასწავლო უნივერსიტეტი აქტიურად გეგმავს და ახორციელებს საჯარო ლექციებსა და კურიკულუმს მიღმა სხვა აქტივობებს. სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე ეტაპობრივად თავსდება ინფორმაცია სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების, კონფერენციების,

ღონისძიებებისა და კვლევების შესახებ, სასწავლო უნივერსიტეტის მხრიდან კი მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებს აქვთ სათანადო ფინასური ხელშეწყობა საერთაშორისო კონფერენციებში და გაცვლით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორმა აღნიშნა, რომ კვლევითი გრანტების გაცემისას აქცენტი კეთდება პროფესორებისა და სტუდენტების ერთობლივ კვლევითი პროექტების განხორციელებაზე. ამასთან, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორმა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვისაც შექმნის სათანადო პირობებს, რათა ისინი აქტიურად ჩაერთონ საერთაშორისო კონფერენციებში, გაცვლით პროექტებში და ასევე ERASMUS+ ისა და სასწავლო უნივერსიტეტის გაცვლითი სტიპენდიებით ისარგებლონ ინდივიდუალური საერთაშორისო მობილობით.

სასწავლო უნივერსიტეტში არსებული სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და სტუდენტურ საქმეთა სამსახური უზრუნველყოფს სტუდენტთა მომსახურებას, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას, ასვე სტუდენტის სტატუსის შესახებ ცნობის, ნიშნების ამონაწერისა და სხვა საჭირო დოკუმენტაციის გაცემას. ამასთან, ინტერვიუს პროცესში სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სტუდენტებს აღნიშნული სერვისებით ელექტრონულად სარგებლობაც შეუძლიათ. ამასთან, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდის მეშვეობით სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო და საგამოცდო ცხრილების, სილაბუსებისა და სწავლის შედეგების შეფასებების შესახებ. ასევე, სტუდენტები ყოველი სემესტრის ბოლოს მონაწილეობენ ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ გამოკითხვაში.

სტუდენტებისთვის დაწესებულია საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სტიპენდიები, რომელთა მოპოვებაც დამოკიდებულია სტუდენტის აკადემიურ მოსწრებასა და კურიკულუმს მიღმა განხორციელებულ აქტივობებზე. ამასთან, სტუდენტებისთვის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედებს პროექტების დაფინანსების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება სხვადასხვა სოციალური თუ შემეცნებითი პროექტის განსახორციელებლად.

მთლიანობაში სტუდენტები იღებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან, აკადემიური მიღწევების შედეგებთან და გაუმჯობესებასთან, დასაქმებასთან და პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციასა და მხარდაჭერას. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები კმაყოფილები არიან ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის საქმიანობით, აღნიშნავენ, რომ სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოა, განსაკუთრებით აღსანიშნავია სალექციო პროცესის საღამოს საათებში წარმართვა, რაც დასაქმებულ სტუდენტებს სწავლისა და მუშაობის შეთავსების საშუალებას აძლევს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორის 2019 წლის 2 სექტემბრის №106-19 ბრძანება: ორგანიზაციული სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულების/ცალკეული პერსონალის სამუშაოს აღწერილობის დამტკიცების შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საჯარო მმართველობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა სავალდებულო კომპონენტს წარმოადგენს, რომელსაც სტუდენტი დამამთავრებელ სემესტრში წერს. პროგრამის ხელმძღავნელებთან და მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი, რომელთაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება ერთი მხრივ აკადემიური პერსონალის პირადი საქმეებით, მათი კვლევითი პროექტებითა და პუბლიკაციებით, ხოლო მეორე მხრივ სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევის პრიცედურით.

სასწავლო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესის რეგულირდება სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესთ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მაგისტრანტის ხელმძღვანელი შეიძლება იყოს დოქტორი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

სამაგისტრო ნაშრომის შემუშავებისა და შეფასების წესის მიხედვით, მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობს ხელმძღვანელის ზედამხედველობით, ამ უკანასკნელის მიერ მიცემული შენიშვნების, რეკომენდაციებისა და წინადადებების განხილვით. მაგისტრანტი თავისუფალია საკუთარი პოზიციების შემუშავებისას და არ იბოჭება ხელმძღვანელის პოზიციებითა და იდეებით. ხელმძღვანელი მაგისტრანტს მთელი სემესტრის განმავლობაში რეგულარულად უწევს კონსულტაციას, როგორც კვლევის შინაარსის, ისე კვლევის დიაზაინის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც იმართება ყოველკვირეული კონსულტაციები. სასწავლო უნივერსიტეტში სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი მიმდინარეობს სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე ხდება საკვალიფიკაციო თემისა და ხელმძღვანელის შერჩევა, შემდეგ ნაშრომის სამაგისტრო კვლევის პროექტის წარდგენა და დაგმტკიცება, ხოლო მესამე ეტაპზე ხდება სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა და საჯაროდ დაცვა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, შესრულებისა და შეფასების წესი (ბრძანება №70-19; 07 ივნისი 2019 წერლი);

• სამაგისტრო ნაშრომების პოტენციური ხელმძღვანელების პირადი საქმეები და კვლევები; • ინტერვიუს შედეგები; • თვითშეფასების დოკუმენტი
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალი. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, რაც გამოკვეთს, როგორც სფეროში არსებულ მდიდარ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემულ სამეცნიერო სტატიებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობას.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 14 პროფესორი საიდანაც 10 არის აფილირებული. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მოწვეული პერსონალის საერთო რაოდენობა შეადგენს 18-ს. ბალანსი პროგრამაში ჩართულ აფილირებულ და არააფილირებულ აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვისათვის აკადემიური და მოწვეული პერსონალის საათობრივი დატვირთვა ეფუძნება საუნივერსიტეტო რეგულაციებს.

პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეები ცხადყოფს, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან. პროგრამის ხელმძღვანელი არის სამართლის დოქტორი და უსდ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიმართულებით. საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 2005 წლიდან. არის მონოგრაფიის, სახელმღვანელოებისა და სამეცნიერო სტატიების ავტორი. პროგრამის თანახელმძღვანელი არის საჯარო სამსახურში თანამდებობის პირი და პრაქტიკული გამოცდილების პარალელურად არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი და უსდ-ს აფილირებული მკვლევარი. სამეცნიერო საქმიანობაში ჩართულია 2010 წლიდან, ხოლო საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 2012 წლიდან. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სამართლის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სტუდენტურ საქმეთა სამსახური, ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების მენეჯერი და უსდ-ს სხვა პროფილური სამსახურები. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი არის შესაბამისი კვალიფიკაციის, რაც უზუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეები • აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფს ა) საგანმანათლებლო პროგრამების, ბ)სამეცნიერო საქმიანობის, გ) სასწავლო პროცესის, დ) აკადემიური პერსონალის, ე) სწავლის შედეგების ხარისხის შეფასებას.

ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ხდება სამიზნე ნიშნულებისა და ფაქტობრივი მდგომარეობის შედარება ეფექტიანობის მაჩვენებელის დასადგენად, რათა მოხდეს პრობლემების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა, გაუმჯობესების გზების ჩამოყალიბების მიზნით, რაც აისახება ხარისხის შეფასების ანგარიშებსა და დასკვნებში.

უსდ-ს ხარისხის მართვის სამსახური მუშაობს საუნივერსიტეტო PDCA პრინციპით რომელიც 4 კომპონენტისგან შედგება: P (plan) - დაგეგმვა; D (do) განხორციელება; C (check) - შემოწმება; A (act) - რეაგირება. აღნიშნულის შესაბამისად ხარისხის მართვის სამსახური გეგმავს თავის საქმიანობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს, ჩასატარებელი შემოწმების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს შემმოწმებლ(ებ)ის კომპეტენციებს, უზრუნველყოფს შემოწმების ჩატარებას შემუშავებული გეგმისა და კრიტერიუმების შესაბამისად, თავად ამოწმებს ან/და შემოწმების მიზნით ქმნის

შეშესაბამისი კომპეტენციების მქონე შემმოწმებელთა ჯგუფს, აანალიზებს მიღებულ შედეგებს, განსაზღვრავს ნაკლოვანებების წარმოქმნის მიზეზებს და მათი აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს, განსაზღვრავს გამოვლენილი სუსტი მხარეების სრულყოფისა და ძლიერი მხარეების შენარჩუნების მექანიზმებს, კონტროლს უწევს დაგეგმილი ღონისძიებების შესრულებას და მიღწეულ შედეგებს.

აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ თითოეული შემოწმების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების ხარისხიდან გამომდინარე მათი განხილვა ხდება როგორც საფაკულტეტო ასევე საუნივერსიტეტო აკადემიური საბჭოების დონეზე.

სასწავლო უნივერსიტეტში 2018 წლიდან ასევე მოქმედებს პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა.

პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და ხარისხის უზრუნველყობის მექანიზმების საფუძველზე მიღებული მონაცემების განხილვის შედეგად, როგორც საფაკულტეტო საბჭოზე ასევე საუნივერსიტეტო აკადემიურ საბჭოზე, ხდება აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების და ტრენინგების დაგეგმვა.

აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების კუთხით სასწავლო უნივერსიტეტი ასევე მონაწილეობს არაერთ საერთაშორისო პროექტში, ამ მხრივ მნიშვნელოვანია სასწავლო უნივერსიტეტის მონაწილეობა Erasmus + პროექტში Sustainable learner-centered Teaching – Advanced Recourse For Goergia and China (STAR), რაც ხელს უწყობს, როგორც სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაძლიერებას სასწავლო უნივერსიტეტში ასევე პერსონალის პროფესიულ განვითარებას.

სასწავლო უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის, რეფერირებადი პუბლიკაციების, სამეცნიერო-კვლევითი მივლინებების, საჯარო ლექციებისა და სემინარების ხარჯების დაფინანსების სქემა

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაზე დართული პირადი საქმეები
- თანდართული დოკუმენტი: "ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენება"
- თანდართული დოკუმენტი: "პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების სისტემა"
- აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ უზრუნველყოფილია კეთილმოწყობილი მცირე და დიდი ზომის აუდიტორიებით, კეთილმოწყობილი საკონფერენციო დარბაზებით, კომპიუტერული რესურს ცენტრით, სპორტული დარბაზით, შეუფერხებელი ინტერნეტმომარაგებით, სტუდენტებისათვის გამოყოფილი სამუშაო და მოსასვენებელი სივრცით.

უსდ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ლიტერატურა. უსდ-ში ასევე უზრუნველყოფილია წვდომა ისეთ ელექტრონულ ბაზებთან როგორებიცაა: EBSCO, ELSEVIER, Heinonline. უსდ-ს ბიბლიოთეკას ასევე აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე: Cambridge Journals

Online, Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books, Edward Elgar Publishing Journals, SAGE Journals, Royal Society Journals და ა.შ.

სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის ასევე ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს მონაცემთა ბაზა.

როგორც ბიბლიოთეკის მენეჯერთან და სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის საპასუხოდ უსდ-მ უზრუნველყო საუნივერსიტეტო საბიბლიოთეკო რესურსებთან შეუფერხებელი ონლიან წვდომა.

უსდ-ში ასევე მოქმედებს უსაფრთხოების უზრუნველყოფის გამართული სისტემა, თითოეულ სართულზე განთავსებულია ევაუკაციის გეგმა, მოქმედებს დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, დამონტაჟებულია სამეთვალყურეო კამერები, მოქმედებს ექთნის კაბინეტი.

სასწავლო უნივერსიტეტში ასევე საკმაოდ ეფექტურად გამოიყენება და ძალიან გამართულად მუშაობს ვიზიტორი მკვლევარისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი და სამუშაო სივრცე, რომელიც იშვიათად არის წარმოდგენილი ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები და ვიზუალური დათვალიერების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგამაზე თანდართული ბიუჯეტი და ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის ბიუჯეტი შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ფაკულტეტისა და სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტებში გათვალისწინებულია თანხები პროგრამის დასაფინანსებლად, რაც ეკონომიკურად მიღწევადია და უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

პროგრამის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებულია ასევე ადგილობრივი და უცხოური დონორი ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის ბიუჯეტი
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ხარისის მართვის სამსახურის მიერ წარმოდგენილი შეფასების შედეგები რეგულარულად ენობება როგორც აკადემიურ, ასევე ადმინისტრაციულ პერსონალს. აღსანიშნავია, რომ სასწავლო უნივერსიტეტში ხორციელდება მწყობრი და სისტემატიზებული ხარისხის მართვის პროცედურები, რაზეც უკვე არსებული პროგრამების შეფასების მიხედვით შეგვიძლია ვისმჯელოთ. ხარისხის მართვის პოლიტიკა ეფუძნება PDCA (დაგეგმვა-განხორციელება-შემოწმება-რეაგირება) პრინციპს.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შემუშავებულ იქნა თვითშეფასების ჯგუფის, პროგრამის ხელმძღვანელისა და შიდა ხარისხის მართვის სამსახურის მჭიდრო თანამშრომლობით. გარდა ამისა, გამოყენებულ იქნა დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებისა და ინდივიდუალური შეხვედრების შედეგები. შემუშავებული პროგრამის პირველადი შეფასება მოხდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, რომლებიც ასევე მონაწილეობდნენ სწავლის შედეგების შემუშავებაში.

პროგრამის დამტკიცება განხორციელდა ორ ეტაპზე, კოლეგიალურად, ფაკულტეტის საბჭოსა და სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი
- აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, შეფასების შედეგები და მათი გამოყენების წესი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ხარისხის შეფასების გარე მექანიზმს წარმოადგენს აკრედიტაცია, ხოლო სასწავლო უნივერსიტეტის მასშტაბით - ავტორიზაცია. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრაიმს შემუშავება მოხდა აკრედიტაციის სტანდარტების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით. გარდა ამისა, სასწავლო უნივერსიტეტს აქვს წარმოდგენილი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საჯარო დაწესებულებებთან (თელავის მუნიციპალიტეტის მერია, ინფრასტრუქტურის სააგენტო, სატყეო სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიურო), რომლებიც, გარდა სტუდენტური პრაქტიკის უზრუნველყოფისა, მონაწილეობენ კონსულტაციების პროცესში პროგრამის შინაარსობრივი მხარის დახვეწის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები • ინტერვიუების შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი შიდა ხარისხის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხდება შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება, სასწავლო პროცესის შეფასება, აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასება, აკადემიური/მოწვეული პერსონალის /სტუდენტის გარემოს შეფასება, სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასება. აღნიშნული შეფასებები ხორციელდება წელიწადში ორჯერ, სემესტრულად, ხოლო სტუდენტების მიერ ლექტორის შეფასება - ყოველი კურსის ბოლოს. თითოეული ინსტრუმენტისათვის შემუშავებულია კითხვარი. ხარისხის მართვის სამსახური ახდენს შეფასების შედეგების ანალიზს, რაც გამოიყენება პროგრამების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის შემუშავების პროცესში მოხდა რეფერირება რამდენიმე ქართულ და უცხოურ ანალოგიურ პროგრამასთან, მათ შორის, სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორი აშშ-ს ნოტრდამის უნივერსიტეტის პროგრამასთან. პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყვნენ როგორც ქართველი ექსპერტები, ასევე უცხოელი პარტნიორები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის შეფასების ანგარიში
- სასწავლო პროცესის შეფასების ანგარიში
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კვლევის შედეგი

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის /სტუდენტის
- გარემოს შეფასების შედეგი
- სტუდენტის აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მაჩვენებელი
- სტუდენტის მიერ ლექტორის შეფასების შედეგი
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საჯარო მმართველობა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო დოლიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნინო ფარსადანიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა: ნიკა გიგაური